ხელშეკრულება № 6

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

სსიპ – თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის (შემდგომში „შემსყიდველი ორგანიზაცია") ადმინისტრაციის ხელმძღვანელი თამარ ჯანდიერი და ს/ს „გლობალ-ერთი"-ს (შემდგომში „მიმწოდებელი") აღმასრულებელი დირექტორი გიორგი მაჩიტიძე „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე **2011 წლის 03 იანვარს** ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია ტელეფონის ნომრებზე – 920176 და 934624 საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირის მომსახურების შესყიდვა ინდექსით – 818 **<u>გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.</u>**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს **400 (ოთხასი) ლარს** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

2.2. მომსახურება გაწეული იქნება მისამართზე: ქ. თბილისი, 0108, ალ. გრიბოედოვის ქ. № 8-10.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია 2011 წლის 31 მარტამდე განახორციელოს მომსახურება. იგი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხზე, ვარგისიანობასა და დროულობაზე.

3.2. მიმწოდებელი უფლებას იტოვებს მომსახურების ღირებულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ გადახდის შემთხვევაში შეზღუდოს მომსახურება ყველა სატელეფონო ნომრებზე, ხოლო გადახდიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში აღადგინოს მომსახურება.

3.3. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება, მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

3.4. შემსყიდველი ორგანიზაცია არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ მიყენებულ ზიანზე.

3.5. შემსყიდველი ორგანიზაცია არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე და პირიქით, მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურება გაწეულად ჩაითვლება ყოველთვიურად შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს კომპეტენტური მაკონტროლებელი ორგანოს ბრძანების საფუძველზე შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

6. გაწეული მომსახურების ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეულიო მომსახურება არ გამოავლენს ხარვეზებს და შესრულებულ იქნება მაღალხარისხიანად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია დამატებითი ანაზღაურების გარეშე (საკუთარი სახსრებით) უზრნველყოს გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრა.

7. ანგარიშსწორება და ფასები

7.1 ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ათი (ათი) საბანკო დღის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 30 რიცხვისა;

7.2. ანგარისსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით. გადარიცხვა ხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

Global 201949918

7.2 ამ ხელშეკრულების მე-2 პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის (გასაწევი მომსახურების) ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტერს, რომლის შეცვლა დასაშვებია საქონლის საცალო ფასის (გასაწევი მომსახურების განსაზღვრული ფასის) გაზრდის ან სემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ აღნიშნული ცვლილება არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისთვის.

7.3. ამ ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში, მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების -------- %-ს.

8. განსაკუთრებული პირობები

8.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება, შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

8.2 მიმწოდებელმა წერილობითი ფორმით უნდა აცნობოს შემსყიდველ ორგანიზაციას სუბ-კონტრაქტის გაფორმების, ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობის შესახებ და მიიღოს წერილობითი თანხმობა.

8.3. ამ ხელსეკრულების ფარგლებში გაფორმებული ყველა სუბ-კონტრაქტის ხელშეკრულება უნდა წარედგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას მისი დადებიდან ერთი კვირის ვადაში.

8.4. სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9. ცვლილებები ხელშეკრულებაში

9.1 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ორივე მხარის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში. ამასთან, შემსყიდველი ორგანიზაცია არ არის ვალდებული მისცეს განმარტება მისი მხრიდან ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობის მიზეზების თაობაზე.

9.2. ცვლილებები ხელშეკრულებაში ამ ხელშეკრულების დანართად და მის განუყოფელ ნაწილად ითვლება.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1 ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.2. პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებლისათვის ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.4. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებას იტოვებს მას დააკისროს პირდასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.1 %-ის ოდენობით.

11. ფორს-მაჟორი

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში.

11.2. ამ ხელშეკრულებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის დაუძლეველ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და მიმწოდებლის შეცდომას ან დაუდევრობასთან და რომელთა წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელია. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევებით.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შესახებ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინებიოს გამგზავნი მხარე არ მიირებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს ერთი კვირის ვადაში, იგი თავისი შეხედულებისა და შესაძლებლობის ფარგლებში აგრძელებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

12. დავების გადაწყვეტის წესი

Global Buy
201949918

მხარეთა შორის წარმოშობილი სადაო საკითხების გადაწყვეტა ხდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მხარეებს შეუძლიათ დადგენილი წესით მიმართონ სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ერთ-ერთი მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის თაობაზე. ამ ხელშეკრულების რომელიმე პირობის შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.2. 13.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიმღები მხარე მეორე მხარეს უგზავნის გადაწყვეტილებას, მისი მიღების საფუძვლის მითითებით და გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღს, გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე ერთი თვით ადრე მაინც.

13.3. ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის.

13.4. შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე იმ შემთხვევაშიც, თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.5. 13.4. პუნქტში გათვალისწინებულ შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება.

14. დამატებითი პირობები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და **მოქმედებს 2011 წლის 31 მარტამდე.**

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე **2** პირად, აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და თითო მათგანი ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

შემსყიდველი ორგანიზაცია:	**მიმწოდებელი:**
სსიპ - თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია ს/კ 203850813 ს/ს საქართველოს ბანკი ც/ფ კოდი: 220101502 ა/ა 119099000 თბილისი, 0108, ალ. გრიბოედოვის ქ. № 8-10	ს/ს „გლობალ-ერთი“ ს/კ 201 949 918 მის: ქ. თბილისი რუსთაველის გამზ. 31 ტელეფონი; 43-91-25 43-91-52 ს/ს „პროკრედიტ ბანკი“ ც/ფილ ბ/კოდი 220 101 922 ა/ა 000 467 191
კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი /თამარ ჯანდიერი/ ----------	ს/ს „გლობალ-ერთი“-ს აღმასრულებელი დირექტორი: /გ. მაჩიტიძე/ ----------
ბ.ა	ბ.ა

8...18
გლობალერთი

საქართველო, 0108 თბილისი
რუსთაველის გამზ. 31
ტელ: (995 32) 439138, 439143
ფაქსი: (995 32) 923285
e-mail:global-erty@global-erty.net
www.global-erty.net

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (დიდი დარბაზი) – ID 5810

ქ. თბილისი ---- ------ 2011 წ.

დ ა ნ ა რ თ ი №1

ს.ს. "გლობალ ერთი", შემდეგში "ოპერატორი" და **"თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (დიდი დარბაზი)"** შემდეგში "აბონენტი" თანხმდებიან, რომ ს.ს. "გლობალ ერთი"-ს საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირის ინდექსის 818-ის სარგებლობისას ქვემოთმოცემულ მიმართულებებზე იმოქმედებს შემდეგი ტარიფები;

მიმართულება	სტანდარტული ტარიფი	ტარიფი ფასდაკლებით
საქართველოს მობილური (მაგთი ჯეოსელი)	0.25	0.16
საქართველოს მობილური (ბილაინი)	0.25	0.19
საქართველოს რეგიონი	0.14	0.11
რუსეთი მობილური	0.25	0.22
რუსეთი ფიქსირებული	0.20	0.18
მოსკოვი	0.15	0.10
ამერიკა	0.25	0.10
დსთ ფიქსირებული	0.50	0.40
დსთ მობილური	0.60	0.53
დას. ევროპა ფიქსირებული	0.20	0.17
დას. ევროპა მობილური	0.65	0.53
აღმოსავლეთ ევროპა ფიქსირებული	0.25	0.22
აღმოსავლეთ ევროპა მობილური	0.60	0.55
თურქეთი ფიქსირებული	0.40	0.16
თურქეთი მობილური	0.55	0.26
სტამბული	0.40	0.13
გერმანია ფიქსირებული	0.20	0.12
გერმანია მობილური	0.65	0.48
საბერძნეთი ფიქსირებული	0.20	0.12
საბერძნეთი მობილური	0.65	0.48
ესპანეთი ფიქსირებული	0.20	0.12
ესპანეთი მობილური	0.65	0.48
იტალია ფიქსირებული	0.20	0.12
იტალია მობილური	0.65	0.48
საფრანგეთი ფიქსირებული	0.20	0.12

საფრანგეთი მობილური	0.65	0.48
ინგლისი ფიქსირებული	0.20	0.12
ინგლისი მობილური	0.65	0.48
უკრაინა ფიქსირებული	0.50	0.30
უკრაინა მობილური	0.60	0.40
კიევი	0.50	0.28
აზერბაიჯანი ფიქსირებული	0.50	0.35
აზერბაიჯანი მობილური	0.60	0.42
ბაქო	0.50	0.28
ეგვიპტე	0.50	0.43
ინდოეთი	0.50	0.38
არაბეთის გაერთ. ემირატები	0.70	0.54
ჩინეთი	0.30	0.15
ირანი	0.70	0.48
ისრაელი ფიქსირებული	0.30	0.15
ისრაელი მობილური	0.50	0.30

ტარიფები მოცემულია ლარებში დღგ-ს ჩათვლით

2. ზემოთაღნუშნული ტარიფები ძალაში შევა დანართის გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 დღის განმავლობაში.

3. იმ შემთხვევაში თუ აბონენტს სატელეფონო ნომერზე ერიცხება დავალიანება, ზემოთაღნიშნული ტარიფები იმოქმედებს დავალიანების დაფარვის დღიდან არაუგვიანეს 3 (სამი) დღის განმავლობაში;

ოპერატორი

ს.ს. "გლობალ ერთი"-ს
კორპორატიულ კლიენტებთან
ურთიერთობის სპეციალისტი:

მ. ინწკირველი/ _____

აბონენტი

[illegible]

თანამდებობა [illegible]

ხელმოწერა _____